## საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები

საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში;
- სასამართლოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები არიან:

- შემოსავლების სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო.

პირმა ჩაიბარა საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება

↓

საჩივრის წარდგენა შემოსავლების სამსახურში

↓

შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება

↙ ↘

| | |
|---|---|
| შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში | შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში (თბილისში ან ქუთაისში) |

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს

შემოსავლების სამსახური

IMF-ის მიერ ჩატარებული საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტით (TADAT) შეფასების ანგარიშის მიხედვით „დამოუკიდებელი, ქმედითი და ეტაპობრივი საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცესი“-ს კრიტერიუმში შემოსავლების სამსახურს მიენიჭა უმაღლესი, A კატეგორია - ფუნქციონირება, რომელიც აკმაყოფილებს ან აღემატება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

აღნიშნული შეფასების ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ TADAT-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგ მისამართზე - http://www.tadat.org/files/Georgia_Final_PAR_2016.pdf

## საკონტაქტო ინფორმაცია:

1) შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტი - ქ. თბილისი, გორგასლის ქ.N10, 0114
ტელ: 2 26 24 62 – დეპარტამენტის უფროსის თანაშემწე

2) შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტი - ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N5, 4600
ტელ: 2 26 26 72

შემოსავლების სამსახურის კანცელარია
ტელ: 2 26 11 15, 2 26 11 16

ელ-ფოსტა: info@rs.ge
ვებ-გვერდი: www.rs.ge

## საჩივარის წარდგენა:

შემოსავლების სამსახურში საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენა ან/და დაზუსტება (მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით) შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალის – eservices.rs.ge-ს საშუალებით მომხმარებლის ავტორიზებული გვერდიდან

შემოსავლების სამსახური

# საგადასახადო დავა შემოსავლების სამსახურში



ურთიერთობა მარტივია

## საგადასახადო დავის დაწყების საფუძველი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 299-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- საგადასახადო მოთხოვნა და საგადასახადო შემოწმების აქტი
- საგადასახადო მოთხოვნა და საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტი
- საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
- ბრძანება გადასახადებისა და სანქციის დარიცხვის შესახებ
- წინასწარი გადაწყვეტილება
- საბაჟო შეტყობინება
- ექსპერტიზის დასკვნა საქონლის კოდის განსაზღვრის/საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ
- საგადასახადო ორგანოს შესაგებელი
- ბრძანება საბანკო ანგარიშებზე/ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ
- ქონებაზე ყადაღის დადების აქტი
- შეტყობინება საგადასახადო გირავნობა /იპოთეკის წარმოშობის შესახებ
- შეტყობინება საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალების წარდგენის შესახებ
- და სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

## საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან **30 დღის** ვადაში

## მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საჩივარი

შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საჩივარი წარმოებაში მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს სსკ-ის მე-300 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ მოთხოვნებს:

- საჩივარში მითითებული უნდა იყოს მომჩივნის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი და მომჩივნის საკონტაქტო მონაცემები;
- საჩივრიდან უნდა ირკვეოდეს მოთხოვნის არსი;
- საჩივარს უნდა ერთვოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მის გამოცემასთან დაკავშირებული დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საჩივრის და მისთვის დართული დოკუმენტების გვერდები უნდა იყოს დანომრილი;
- საჩივარი და მისთვის დართული დოკუმენტაცია უნდა იკითხებოდეს;
- საჩივარი და მისთვის დართული დოკუმენტები შედგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე;
- საჩივარი უნდა იყოს ხელმოწერილი.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური მომჩივანს აცნობებს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. საჩივარი წარმოებაში მიიღება ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.

**გაითვალისწინეთ, განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური განუხილველად ტოვებს საჩივარს!**

## საჩივარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მომჩივანი | | | |
| 2. დავის განმხილველი ორგანო *[მონიშნეთ შესაბამისი გრაფა]* | ა) შემოსავლების სამსახური | | |
| | ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო | | |
| 3. საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი | | | |
| 4. ოფიციალური მისამართი | | | |
| 5. ფაქტობრივი მისამართი (თუ იგი განსხვავდება ოფიციალური მისამართისაგან) | | | |
| 6. ტელეფონი; მობ. ტელეფონის ნომერი | | | |
| 7. ფაქსი/ელფოსტა | | | |
| 8. წარმომადგენელი | | | |
| 9. წარმომადგენლის მისამართი | | | |
| 10. წარმომადგენლის (მობილური) ტელეფონი | | | |
| 11. მოპასუხე საგადასახადო ორგანო | | | |
| 12. გასაჩივრებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები | | | |
| ა) გამოცემის თარიღი | ბ) დოკუმენტის ნომერი | გ) ჩაბარების თარიღი | |
| დ) სათაური | | | |
| 13. სხვა გასაჩივრებული დოკუმენტების ჩამონათვალი (მიუთითეთ თითოეული დოკუმენტის რეკვიზიტი, რომლის ნაწილობრივ/სრულ გაუქმებასაც ითხოვთ დავისგანმხილველი ორგანოსაგან) *[გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი]* | | | |
| 14. სადავო თანხა სულ | | მათ შორის | |

**15. ფაქტების აღწერა** (ქრონოლოგიურად აღწერეთ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებას) *[გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი]*

**16. თქვენი არგუმენტები** (მიუთითეთ, თუ რა საფუძვლით მიაჩნია მომჩივანს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღება არამართლზომიერად. დასაბუთებისას უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიულ აქტებში არსებული დებულებები, რომლებიც თქვენი პოზიციის მართებულობაზე მეტყველებს) *[გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი]*

**17. თქვენი მოთხოვნა** (მიუთითეთ მომჩივნის მოთხოვნა (მაგ.: „საგადასახადო მოთხოვნის" სრულად/ნაწილობრივ გაუქმება; შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების სრულად/ნაწილობრივ გაუქმება და ა.შ.) *[გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი]*

**18. თქვენს საჩივარზე დართული მტკიცებულებების ჩამონათვალი** (მიუთითეთ საჩივარზე დართული თითოეული დოკუმენტის დასახელება) *[გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი]*

**19. დადასტურება**

თანახმა ვარ, რომ დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს საჯაროდ;
ვადასტურებ, რომ წინამდებარე საჩივრის ფორმით მოწოდებული ყველა ცნობა ნამდვილია.

| | |
|---|---|
| ა) საჩივრის შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა | |
| ბ) ადგილი | |
| გ) თარიღი | |

**მომჩივნის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:** ______________________

**შემოსავლების სამსახურში საჩივრის წარდგენა ან/და დაზუსტება (მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით) შესაძლებელია:**

| | | |
|---|---|---|
| წერილობითი ფორმით შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრებში და შემოსავლების სამსახურის კანცელარიაში | ელექტრონული ფორმით შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალის - eservices.rs.ge-ს საშუალებით მომხმარებლის ავტორიზებული გვერდიდან | შემოსავლების სამსახურში წერილობითი ფორმით საჩივრის გაგზავნა შესაძლებელია საქართველოს ფოსტის საშუალებით |